CAO შეფასების ანგარიში

MIGA-ას TANAP-ის პროექტის ფარგლებში SCP-ის საქმიანობასთან დაკავშირებული საჩივარი (#13661)

ვალე, საქართველო

2018 წლის იანვარი

შესაბამისობის მრჩეველი ომბუდსმენის სამსახური
საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და მრავალმხრივი საინვესტიციო საგარანტიო სააგენტოსათვის

www.cao-ombudsman.org

ინფორმაცია CAO-ის შესახებ

შესაბამისობის მრჩეველი-ომბუდსმენის სამსახური (CAO) არის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის და მრავალმხრივი საინვესტიციო საგარანტიო კორპორაციის დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების მექანიზმი-მსოფლიო ბანკის ჯგუფის კერძო სექტორთან თანამშრომლობის ინსტრუმენტი. შესაბამისობის მრჩეველი-ომბუდსმენის სამსახური - CAO - ი ანგარიშვალდებულია უშუალოდ მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის წინაშე და მისი მანდატი მდგომარეობს IFC/MIGA დახმარებით განხორციელებული პროექტების შედეგად დაზარალებული ადამიანების საჩივრების განხილვის პროცესის ხელშეწყობაში ისე, რომ პროცესი იყოს სამართლიანი, ობიექტური და კონსტრუქციული, აგრეთვე, მან უნდა გააძლიეროს ამ პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი შედეგები.

დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. www.cao-ombudsman.org

სარჩევი

სარჩევი III

აბრევიატურების ჩამონათვალი IV

1. ზოგადი მიმოხილვა 1

2. საკითხის ისტორია 1

   2.1 პროექტი 1

   Error! Bookmark not defined.

   2.2 საჩივარი 2

3. შეფასების მიმოხილვა 3

   3.1 მეთოდოლოგია 3

   3.2 ხედვების მიმოხილვა 3

4. შემდგომი ნაბიჯები 7

დანართი ა. CAO-ის საჩივრის განხილვის პროცესი 7

აბრევიატურების ჩამონათვალი

CAO	შესაბამისობის მრჩეველი-ომბუდსმენის სამსახური
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
MIGA	მრავალმხრივი საინვესტიციო საგარანტიო სააგენტო
SCP	სამხრეთ კავკასიის მილსადენი
SGC	სამხრეთის გაზის კორიდორი
BP	BP საძიებო (შაჰ დენიზი) შპს
BEJV	Bechtel-ENKA ერთობლივი საწარმო
ENKA	ENKA ინსაათ ვე სანაიი ა.ს.
TANAP	ტრანს-ანატოლიის მილსადენი

1. ზოგადი მიმოხილვა

2017 წლის მარტში, CAO-ში შემოვიდა ENKA ინსაათ ვე სანაიია.ს.-ს (კომპანია, რომელმაც BECHTEL-თან ერთად ერთობლივი საწარმო დააფუძნა- ერთობლივი საწარმო BECHTEL-ENKA (BEJV), სამხრეთ კავკასიის მილსადენის (SCP) ვალეს მონაკვეთზე ქვე-კონტრაქტორის ფუნქციის შესასრულებლად) ყოფილი თანამშრომლის („მომჩივანი“) საჩივარი. MIGA-ს მიხედვით SCP-ი არის ტრანს-ანატოლიის მილსადენის ამჟამად თურქეთში მიმდინარე პროექტთან (TANAP) დაკავშირებული ორგანიზაცია და რომელმაც შესაძლებელია მიიღოს MIGA-ს დახმარება გარანტიის გაცემის გზით. მომჩივანი ყურადღებას ამახვილებს ძირითადად SCP-ზე და გამოთქვამს პრეტენზიას SPC-ის 81-ე მონაკვეთზე სამუშაო პირობების (ვალეში მდებარე სკნ-ს ნაკვეთი), BEJV-ს („კომპანია“) მიერ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროცედურების დაცვასთან დაკავშირებით, აგრეთვე, შრომითი კონტრაქტის უსამართლო შეწყვეტისა და გაწეული სამუშაოსთვის გადაუხდელი კომპენსაციის შესახებ. CAO-მა საჩივარი სცნო წარმოებაში მისაღებად, ვინაიდან MIGA-ს მიაჩნია, რომ SCP არის TANAP-თან დაკავშირებული მექანიზმი. CAO-ის შეფასების დროს, მომჩივანმა სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიეღო CAO-ის მიერ წარმართულ უთანხმოების მოგვარების პროცესში. თუმცა, კომპანიის მიხედვით, კომპანიას მიაჩნია, რომ, პირველი, ეს საკითხი არ შედის CAO-ს იურისდიქციაში, და მეორე, რომ მომჩივანთან მათ უკვე ჰქონდა ორმხრივი მოლაპარაკებები ამ თემასთან დაკავშირებით, ამიტომ მან აღარ მოისურვა კამათის გადაჭრის პროცესში ჩართვა. CAO-ის საოპერაციო ინსტრუქციების თანახმად, ამ მომენტიდან საჩივარი გადაეცემა CAO-ის შესაბამისობის კონტროლის ერთეულს.

2. საკითხის ისტორია

2.1 პროექტი

2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით MIGA აქტიურად მსჯელობს გარანტიის უზრუნველყოფის შესახებ იმ საერთაშორისო ბანკებისთვის, რომელიც აზერბაიჯანის სახელმწიფო გაზის სამხრეთ კორიდორისთვის CJSC (SGC) 750 აშშ მილიონის მოცულობის სესხის გაცემას სთავაზობენ SGC-ის მიერ თურქეთში TANAP-ის პროექტის დაფინანსების ხელშეწყობის მიზნით.

MIGA-ის მიხედვით, პროექტი შედგება TANAP-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციისაგან, რომელიც სამხრეთის გაზის კორიდორის ღირებულების ჯაჭვის შექმნის ნაწილია და მიზნად ისახავს აზერბაიჯანიდან, შახ დენიზის გაზის საბადოდან გაზის ტრანსპორტირებას თურქეთსა და ევროპაში. პროექტი აზერბაიჯანს შესაძლებლობას მისცემს აითვისოს შახ დენიზ - 2 გაზის საბადო და გაასამმაგოს თავისი გაზის ექსპორტი, აგრეთვე გააფართოვოს ექსპორტის გეოგრაფიული არეალი.

MIGA-მ აღნიშნა, რომ შახ დენიზის გაზის საბადო და SCP-ის გაფართოება აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით არის TANAP-თან დაკავშირებული მექანიზმი. MIGA-მ დაადგინა, რომ ვინაიდან, TANAP-ს არ გააჩნია არც საოპერაციო კონტროლი და არც სხვა რაიმე ბერკეტი რომელიმეს მიმართებით, MIGA-ს გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნები ამ ობიექტებზე არ ვრცელდება (MIGA-ს გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის პოლიტიკისა და 2016 წლის 14 ოქტომბერს გამოქვეყნებული პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის შემაჯამებელი დოკუმენტის მიხედვით).

TANAP

ეკუთვნის JV-ს (BP-ის და SGC-ის ათვლით)

ამუშავებს SGC-ი

SCP – TANAP-თან ასოცირებული ერთეული, MIGA-ს მიხედვით

ეკუთვნის JV-ს (SGC-ის და BP-ის ჩათვლით)

ამუშავებს BP

MIGA-ს გარანტია

2.2 საჩივარი

საჩივარი ეხება სამუშაო პირობებს და ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს საქართველოში, ვალეს მონაკვეთზე იმ პერიოდში, როდესაც მომჩივანი იყო დასაქმებული (2016 წლის ივნისიდან 2017 წლის იანვრამდე) და როდესაც მას მართავდა BEJV. მომჩივანი ასევე აცხადებს, რომ მისი დასაქმება შეწყდა უსამართლოდ და კომპანიას აქვს დავალიანება (215.5 ლარი, დაახლოებით 80 აშშ დოლარის ექვივალენტი) გადაუხდელი ხელფასის სახით. შეფასების პროცესში განხილული საკითხები უფრო დეტალურად ქვემოთაა აღწერილი.

რადგან მისი შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, მომჩივანის დამსაქმებლი არის Enka Insaat ve Sanayi A.S. (ENKA), CAO-მ მოლაპარაკებები ENKA-სთან და BP-სთან [1] გამართა, როგორც ობიექტის ოპერატორთან. BP-იმ აღნიშნა, რომ კომპანია, რომელიც მათ მიერ ვალეში იქნა დაქირავებული, 81-ე პუნქტზე მშენებლობის განსახორციელებლად, არის Bechtel-ENKA(BEJV), ENKA-ს და Bechtel-ის ერთობლივი საწარმო.

[1] BP -ი არის იმ ერთობლივი საწარმოს აქციონერი, რომელიც ფლობს SCP-ს და ასევე ის კომპანიაა, რომელიც SCP ამუშავებს. BP აგრეთვე იმ ერთობლივი საწარმოს აქციონერია, რომელიც ფლობს TANAP-ს, მაგრამ TANAP-ს არ ამუშავებს.

3. შეფასების მიმოხილვა

3.1 მეთოდოლოგია

CAO-ის შეფასების მიზანია, გაარკვიოს მომჩივანის მიერ განცხადებული ყველა საკითხი და პრობლემა, შეაგროვოს ინფორმაცია და გამოიკვლიოს ყველა დაინტერესებული მხარის ხედვა საჩივრის დავის არსზე დასკვნების გამოტანის გარეშე. შეფასება ასევე მიზნად ისახავს, დაადგინოს, სურთ თუ არა მომჩივანსა და კომპანიას დავის გადაწყვეტა განახორციელონ CAO-ის ხელშეწყობით. ან სურთ თუ არა მათ, რომ საჩივარი გადაეცეს CAO-ს შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთეულს, რომელიც შეასრულებს MIGA-ს საქმიანობას (იხ. დანართი სადაც აღწერილია CAO-ს საჩივრების განხილვის პროცესი).

ამ შემთხვევაში CAO-ის მიერ საჩივრის შეფასება მოიცავს:

- პროექტის დოკუმენტაციის კამერულ შეფასებას;
- მომჩივანთან სატელეფონო საუბრებს;
- სატელეფონო საუბრებს და ელ.ფოსტით მიმოწერას SGC და BP ექსლორაიშნ (შახ დენიზი ლიმითიდ (“BP”) და ENKA (BEJV-ის სახელით); და
- MIGA-ის პროექტის გუნდთან პირად შეხვედრებს.

ამ დოკუმენტში მოყვანილია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ხედვები და ახსნილია თითოეული მხარის მიერ არჩეული შემდგომი ნაბიჯები.

3.2 ხედვების მიმოხილვა

მომჩივანის ხედვა

<u>ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები SCP-ს 81-ე პუნქტზე.</u>

მომჩივანმა შეშფოთება გამოთქვა SCP-ს (ვალეში მდებარე) 81-ე ობიექტზე ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ:

- **ობიექტზე მომუშავე რიგერებისათვის ტრენინგების არარსებობა:** მომჩივანი აცხადებს, რომ ENKA-მ ის და სხვები დაიქირავა როგორც მეტალის მემონტაჟეები, თუმცა, იგი რიგერად მუშაობდა, ამ ფუნქციის შესასრულებლად სათანადო ტრენინგის გარეშე. მომჩივანის მიხედვით, მისი და სხვა თანამშრომლების ფოლადის მემონტაჟის თანამდებობაზე გაფორმებით, ENKA-მ თავიდან აიცილა რიგერებად მომუშავე ადამიანებისთვის ტრენინგის ჩატარების ვალდებულება. მომჩივანის განცხადებით, ENKA მათ დაპირდა, რომ მათი კონტრაქტები შეიცვლებოდა სამი თვის შემდეგ, და რომ ისინი გაფორმდებოდნენ რიგერების პოზიციაზე. თუმცა, მუშაობის შვიდი თვის შემდეგაც (2016 წლის ივნისი-2017 წლის იანვარი), მათი კონტრაქტები არ შეცვლილა.

  მომჩივანი აცხადებს, რომ მან მოითხოვა ტრენინგზე დასწრება, მაგრამ მას ტრენინგი არ ჩაუტარდა. თუმცა ამ მოთხოვნის შემდეგ, იგი მალევე გაათავისუფლეს სამსახურიდან.

  მომჩივანი ასევე აცხადებს, რომ მან BP-ში შეიტანა საჩივარი იმის თაობაზე, რომ იგი გაათავისუფლეს ფოლადის მემონტაჟის და არა რიგერის თანამდებობიდან, ხოლო

როდესაც BP-მ ეს საჩივარი ENKA-ს გადაუგზავნა, ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ მომჩივანს არასოდეს უმუშავია რიგერის თანამდებობაზე.

- **ამწე კრანების და ამწე მოწყობილობების ყოველთვიური ინსპექტირება:** მომჩივანის მიხედვით, ამწე კრანების ინსპექტორები კრანებს სათანადოდ არ ამოწმებდნენ და თავისთვის მხოლოდ პლიუსის დაწერით შემოიფარგლებოდნენ. გარდა ამისა, მომჩივანი აცხადებს, რომ ამწე მოწყობილობების ინსპექტირებას ატარებდა ამ საქმისათვის მოუმზადებელი (დაუტრენინგებელი) პერსონალი.
- **ობიექტზე მუშების არასათანადოდ დაბალი რიცხვი:** მომჩივანის მიხედვით, ობიექტზე იყო შვიდი ამწე კრანი და მათზე მომუშავე მხოლოდ ათი რიგერი, რაც მისი აზრით, არ იყო საკმარისი და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს ქმნიდა.
- **მუშებს უხდებოდათ შეუფერებელი წონის სიმძიმეების აწევა სათანადო აღჭურვილობის გარეშე.**

<u>სამუშაო პირობები</u>

სავარაუდო ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების არასათანადო პირობების გარდა, მომჩივანი აცხადებს, რომ მუშებს აიძულებდნენ ემუშავათ დამატებითი საათები, რისთვისაც სისტემატიურად არ უხდიდნენ დამატებით ხელფასს. მუშებს ეძლეოდათ მხოლოდ ერთი დასვენების დღე ორ კვირაში ერთხელ (ერთი კვირა დღე ორ კვირაში ერთხელ). მომჩივანი ასევე საუბრობს იმაზე, რომ ობიექტზე არსებული საკვები ცუდი ხარისხის იყო, ხოლო სასადილო ოთახის ფართი - შეუსაბამო, რის გამოც მუშები იძულებულნი იყვნენ დიდი ხნის განმავლობაში მდგარიყვნენ რიგში სადილის მოლოდინში. ეს საგრძნობლად ამცირებდა მათთვის გამოყოფილ დასვენების დროს.

მომჩივანი აგრეთვე აცხადებს, რომ თურქული კომპანია, ENKA, არასათანადოდ ეპყრობოდა ქართველ მუშებს და ეწეოდა მათ დისკრიმინირებას თურქი მუშების სასარგებლოდ. იგი ასევე აცხადებს, რომ ENKA ბოროტად სარგებლობდა ვალეში უმუშევრობის მაღალი დონით და რომ ქართველ მუშებს რეპრესიების შიშის გამო, არ შეეძლოთ სამუშაო პირობებთან დაკავშირებით საკუთარი შეშფოთების გამოხატვა.

<u>გადაუხდელი ხელფასი და სამსახურიდან უსამართლოდ გათავისუფლება</u>

მომჩივანი აცხადებს, რომ ENKA-მ ცალმხრივად მას შემდეგ შეუწყვიტა კონტრაქტი, როცა მან მოითხოვა რიგერებისათვის ტრენინგის ჩატარება. იგი ფიქრობს, რომ მას დასაქმება შეუწყვიტეს იმ საბაბით, რომ მან ობიექტი დატოვა საათების აღმრიცხველის ნებართვის გარეშე ერთ ძალიან ცივ დღეს, როდესაც სამუშაო საათები დასრულებული იყო, მაგრამ საათების აღმრიცხველი მუშებს არ უშვებდა. მან სთხოვა აღმრიცხველს, მუშების გაშვება, რადგან ამის დრო იყო. როდესაც საათების აღმრიცხველმა უარი განუცხადა, მომჩივანი გავიდა საამქროდან და მას სხვა მუშებიც გაჰყვა.

მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი ეჭვობს, რომ სწორედ ზემოთ აღწერილი შემთხვევები გახდა მისი სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი, ის აცხადებს, რომ ENKA-ს მისი გათავისუფლების კონკრეტული მიზეზი არ დაუსახელებია, რაც მისი აზრით, კანონდარღვევას წარმოადგენს.

და ბოლოს, მომჩივანი ამტკიცებს, რომ ENKA-ს მისი ვალი აქვს 215.5 ლარის ოდენობით (დაახლოებით 80 აშშ დოლარი). ეს თანხა შედგება 128 ლარისაგან -აღურიცხავი ხელფასი და დარიცხული ჯარიმა 87.5 ლარის ოდენობით, რაც დაერიცხა დასაქმების შეწყვეტის შემდეგ ანგარიშსწორების დაგვიანების გამო.[2] როგორც მომჩივანი აღნიშნავს, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საბოლოო ანგარიშსწორება უნდა მოხდეს დასაქმების შეწყვეტიდან 8 დღის ვადაში. ამ პირობის შეუსრულებლობა გამოიწვევს ჯარიმის დარიცხვას დღეში 0.7%-ის ოდენობით. მომჩივანი ამტკიცებს, რომ მან საბოლოო ანგარიშსწორება მიიღო 25 დღის დაგვიანებით, შვიდ თებერვალს, მაშინ როცა მას, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მას ეს თანხა უნდა მიიღო გათავისუფლებიდან 8 დღის განმავლობაში, ანუ 13 იანვარს. [3] მან ასევე აღნიშნა, რომ ENKA-ს სხვა გათავისუფლებული მუშების ვალიც აქვს.

მომჩივანმა საკუთარი იმედგაცრუება გამოხატა ENKA-ს მიმართ, მიუხედავად ამისა, იგი მზად იყო ENKA-სთან, BEJV ან BP-სთან დიალოგისათვის. მან ასევე გამოხატა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საბაზისო ზომებთან დაკავშირებით ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობაა საქართველოში SCP-ის სხვა ობიექტებზეც, მაგალითად წალკაში.

SGC-ის ხედვა

SGC-ის მიხედვით, მათ SCP-ის აქციების 6.67 პროცენტი ეკუთვნის, მაგრამ ამ პროექტს თავად არ მართავდნენ და ამიტომ SCP-ზე კონტროლს არ ახორციელებდნენ. SGC-მ დააკონკრეტა, რომ მათ ENKA-სთან არასდროს უმუშავიათ, და ამასთანავე, არც MIGA-ის მიერ გამოთქმულ ხედვას დაეთანხმა, იმის შესახებ, რომ SCP-ი TANAP-ის პროექტთან დაკავშირებული კომპანიაა.

BP-ს ხედვა

BP-მ აღნიშნა, რომ ისინი არიან საქართველოში SCP-ის ტექნიკური ოპერატორები, ხოლო BEJV-ი წარმოადგენდა SCP-ის სამშენებლო კონტრაქტორს. BP-მ განმარტა, რომ სამშენებლო სამუშაოები ვალეს 81-ე ობიექტზე, სადაც მუშაობდა მომჩივანი, არსებითად დასრულებული იყო იმ მომენტისთვის, როცა ტარდებოდა შეფასება CAO-ს მიერ. BP-მ გადმოიბარა უშუალო კონტროლი ამ ობიექტზე BEJV-სგან ხოლო ობიექტი მშენებლობის ფაზიდან ექსპლუატაციაში გაშვების ფაზაში გადავიდა.

BP-მ აღნიშნა, რომ უსაფრთხოება SCP-ის პროექტისათვის უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენდა. BEJV-ს მიერ ოპერირების დროს 81-ე ობიექტს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით კარგი რეპუტაცია ჰქონდა: არ დაფიქსირებულა შრომის უნარის დროებითი დაკარგვის გამო არცერთი გაცდენა და არც სამუშაო ადგილზე დაზიანების შემთხვევა.

BP-ი მართავს თავისი კონტრაქტორების ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ფუნქციონირებას როგორც დოკუმენტალურ ჩანაწერებზე კონტროლის

---

[2] 87.5 ლარი დაანგარიშებულია შემდეგნაირად: 500 ლარი (ENKA-სგან მიღებული საბოლოო ანგარიშსწორება) * 0.7% (ჯარიმა დარიცხული დაგვიანებისთვის) * 25 დღეზე.

[3] ეს ინფორმაცია საჩივარშია მოცემული. CAO-ს ეს ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებაში არ გადაუმოწმებია.

განხორციელებით (როგორიცაა უსაფრთხო და დაუცველი ქმედებები, ავარიული მდგომარეობები, და შემთხვევების რაოდენობა) და პროაქტიულად, უსაფრთხოების სავალდებულო გეგმების, აუდიტების, ინდიკატორების ანალიზის და უსაფრთხო ფუნქციონირების მონიტორინგის მეშვეობით. BP-იმ ასევე აღნიშნა, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც 81-ე ობიექტზე აღმოაჩენდა პერსონალის კომპეტენციასთან ან პროცედურების დაცვასთან დაკავშირებულ რაიმე ხარვეზს, მომენტალურად იღებდა ზომებს მათ აღმოსაფხვრელად.

BEJV-ის სასადილოს ფართთან და საკვების ხარისხთან დაკავშირებით გამოთქმულ პრეტენზიასთან დაკავშირებით, BP-მ გვიპასუხა, რომ 61-ე ობიექტის სასადილომ მუშების მოთხოვნის შემდეგ, 2015 წელს, დაიწყო ქართული ეროვნული კერძების მომზადება, მაგრამ მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია საკვების ხარისხთან დაკავშირებული უკმაყოფილების შესახებ. პირიქით, BP-ის ინფორმაციით, BEJV-ი რეგულარულად ატარებდა მუშების გამოკითხვას ამ თემასთან დაკავშირებით და რომ უკანასკნელი გამოკითხვის შედეგები უჩვენებდა კმაყოფილების 80 %-ზე მაღალ დონეს.

BP-იმ დაამატა, რომ მათ ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, მომჩივანი ერთადერთი ადამიანია, რომელმაც განაცხადა, რომ მას დენმა დაარტყა 81-ე ობიექტზე მუშაობისას და რომ კომპანიისთვის ამ შემთხვევის შესახებ არავის უცნობებია.

რაც შეეხება მომჩივანის ინტერესს, ჩაერთოს CAO-ს მიერ ინიცირებულ დავის მოგვარების პროცესში, BP-ი აღნიშნავს, რომ მათი აზრით, ისინი არ წარმოადგენენ მხარეს, რომელიც უნდა ჩაერთოს დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხების განხილვაში, ვინაიდან მომჩივანი BP-ის თანამშრომელი არასდროს ყოფილა.

BEJV-ის ხედვა

BEJV-მ აღნიშნა, რომ მათი აზრით ამ საქმეზე CAO-ს იურისდიქცია არ ვრცელდება და მომჩივანის მხრიდან ნებისმიერი პრეტენზია BEJV- მიმართ, SCP პროექტში მის დასაქმებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, უნდა განიხილებოდეს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მართლმსაჯულების წარმოების წესის მიხედვით და არცერთი სხვა მექანიზმის მეშვეობით, CAO-ს ან -ს ჩათვლით.

BEJV-ი უარს აცხადებს ამ საკითხთან დაკავშირებით ურთიერთობის გაგრძელებაზე, რადგან თვლის, რომ ბოლო დროს მათ საკმარისი რესურსი დაუთმო მომჩივანის საჩივრების განხილვას, რომელიც მან CAO-ს გარეშე გააგზავნა.

BEJV-მ განაცადა, რომ BEJV-მა გამოიძია მომჩივანის ბრალდება გადაუხდელი ხელფასისა და სამსახურიდან არამართლზომიერი გათავისუფლების და უსაფრთხოების ზომების (რომლის შესახებ მომჩივანმა უშუალოდ აცნობა BEJV-ს Cao-ს ჩართვამდე) და დაადგინა, რომ ეს ყველა ბრალდება უსაფუძვლოა. BEJV-მ მომჩივანს პასუხი გასცა ორ ცალკეულ შემთხვევაზე და მომჩივანის მხრიდან შემოსული ბრალდებები განიხილა. BEJV-მ აღნიშნა, რომ, როგორც წესი, უსაფრთხოებასთან, ჯანმრთელობასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით ძალიან მკაცრ წესებს იცავენ. მომჩივანის კონკრეტული პრეტენზიების მიმართ ისინი პასუხობენ რომ:

- **შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა:** ხელშეკრულება შეწყდა მართლზომიერად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- **აღურიცხავი დამატებითი საათები:** საათების აღმრიცხველი ყველა თანამშრომელს თვეში ორჯერ აწვდიდა საათების აღრიცხვის ცხრილს, რათა

მათ გადაემოწმებინათ მათ მიერ ნამუშევარი საათების დაფიქსირების სიზუსტე. მომჩივანს არც ერთხელ მოუთხოვია შესწორების შეტანა და არც გამორჩენილი საათების შესახებ უთქვამს რამე, მანამ სანამ მისი დასაქმება შეწყდებოდა და არ არსებობს რაიმე მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მომჩივანის საათების აღმრიცხველ ცხრილში საათები არასწორად იყოს აღრიცხული;

- **სასადილოს ზომა და საკვების ხარისხი:** სასადილოში რიგში მოლოდინის დრო 15 წუთს არ აღემატება, ხოლო ბოლო კვლევის მიხედვით, საკვების ხარისხით კმაყოფილების დონემ 81% შეადგინა;
- **მომჩივანის პოზიცია:** იგი დაქირავებული იყო როგორც ფოლადის მემონტაჟე, შესაბამის ხელფასს იღება და რიგერის პოზიციაზე აყვანა მისთვის არავის შეუთავაზებია;
- **ტრენინგი:** ამწე სამუშაოებთან დაკავშირებული პერსონალი დატრენინგებულია, ხოლო წელიწადში ერთხელ მათ საკვალიფიკაციო კურსები უტარდებათ;
- **ამწეკრანების და სხვა საბურღი აღჭურვილობის ინსპექტირება:** საბურღ აღჭურვილობას ყოველდღიურად ამოწმებენ ოპერატორები, თვეში ერთხელ- მექანიკოსები, ხოლო წელიწადში ერთხელ მესამე მხარე უტარებს ინსპექტირებას (თითოეული ინსპექციის ჩატარების ფაქტი ფიქსირდება საინსპექციო მარკით).
- **მძიმე საგნების ხელით აწევა:** მძიმე საგნების აწევისას დაცულია კონკრეტული პროცედურები (რაც გულისხმობს აღჭურვილობის და ხელსაწყოების გამოყენებას) ხოლო პირებს, რომლებიც შემჩნეულები არიან ამ პროცედურების დარღვევაში, უტარდებათ ინსტრუქტაჟი, საკვალიფიკაციო ტრენინგი ან კიდევ მათ მიმართ ხორციელდება დისციპლინარული სანქციები.

4. შემდგომი ნაბიჯები

მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანმა ENKA-სთან, BEJV-სა ან BP-სთან დავის მოგვარების პროცესში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოხატა, არცერთი მათგანი არ აპირებს ამ პროცესში ჩართვას. დავის მოგვარება ნებაყოფლობითი პროცესია და საჭიროებს ორივე მხარის ურთიერთშეთანხმებას. დავის გადაწყვეტის პროცესში, რომელიმე მხარის მხრიდან, მონაწილეობის სურვილის არარსებობის შემთხვევაში, საჩივარი გადაეცემა CAO-ის შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთეულს.

დანართი ა. CAO-ის საჩივრის განხილვის პროცესი

იმ მომენტიდან, როდესაც CAO-ი საჩივარს წარმოებაში მიიღებს, ტარდება პირველადი შეფასება CAO-ის დავების მოგვარების ერთეულის მიერ, CAO-ის შეფასება მიზნად ისახავს: (1) დეტალურად გაერკვეს მომჩივანის მიერ განცხადებულ საკითხებსა და პრობლემებში; (2) მოიპოვოს ინფორმაცია სხვა დაინტერესებული მხარეების ხედვების შესახებ; (3) დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს უკეთ გაეცნონ პრობლემის გადაჭრის არსებულ ალტერნატივებს და გადაწყვიტონ, სურთ თუ არა CAO-ის დავების მოგვარების

დეპარტამენტის მეშვეობით და თანამშრომლობის გზით მოაგვარონ პრობლემა, თუ ურჩევნიათ რომ საქმე განიხილოს CAO-ის შესაბამისობის ერთეულმა.

CAO-ის საოპერაციო პროცედურების[4] მიხედვით, საჩივრის მიღების შემდეგ პროცესი ჩვეულებრივ შემდეგნაირად მიმდინარეობს:

ნაბიჯი 1: საჩივრის მიღების **დადასტურება**.

ნაბიჯი 2: **მისაღებობა:** CAO-ის მანდატის მიხედვით საჩივრის მისაღებობის განსაზღვრა (არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა).

ნაბიჯი 3: **CAO-ის შეფასება:** საკითხების შეფასება და დაინტერესებული მხარეების დახმარება პროცესის გაცნობიერებასა და გადაწყვეტილების მიღებაში იმასთან დაკავშირებით, რომ სურთ თუ არა კონსენსუალური შეთანხმების მიღწევა CAO-ის დავების მოგვარების მექანიზმის მიერ შეთავაზებული თანამშრომლობითი პროცესის მეშვეობით, თუ საქმე უნდა გადაეცეს CAO-ის შესაბამისობის მექანიზმს, რომელიც განიხილავს IFC/MIGA-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის სათანადო აღსრულებას. შეფასების დრო არ აღემატება 120 სამუშაო დღეს.

ნაბიჯი 4: **შეთანხმების მიღწევის ხელშეწყობა**: იმ შემთხვევაში თუ მხარეები აირჩევენ თანამშრომლობის გზას, CAO-ი დაიწყებს დავის მოგვარების პროცესს, რაც ეფუძნება ურთიერთგაგების მემორანდუმს, ან მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმებით მიღებულ წესებს. პროცესი შესაძლოა მოიცავდეს ხელშეწყობა/მედიაციას, ფაქტების ერთობლივ დადგენას, ან სხვა შეთანხმებულ მიდგომას, რაც მიზნად ისახავს ურთიერთშეთანხმების მიღწევას. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული ამ ტიპის მიდგომის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ საჩივარში განცხადებული და საჩივართან დაკავშირებული შეფასების დროს, ან დავის გადაჭრის პროცესში აღმოჩენილი სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები მოგვარდეს ისე, რომ ეს მისაღები იყოს დაინტერესებული მხარეებისათვის.[5]

ან

შესაბამისობის შეფასება/გამოძიება: თუ მხარეებმა აირჩიეს სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცესი, CAO-ის შესაბამისობის დამდგენი დეპარტამენტი დაიწყებს ექსპერტიზის პროცესს მოცემული პროექტის მიერ IFC/MIGA-ის გარემოსდაცვითი და სოციალურ პასუხისმგებლობასთან შესაბამისობის დასადგენად იმისათვის, რომ გაარკვიოს, საჭიროა თუ არა ამ პროექტთან დაკავშირებით IFC/MIGA-ის საქმიანობის აუდიტის ჩატარება სტანდარტებთან შესაბამისობის შესამოწმებლად. ექპერტიზის ჩატარებას დაეთმობა მაქსიმუმ 45 დღე. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყდა აუდიტის ჩატარების აუცილებლობა, CAO-ის სტანდარტებთან შესაბამისობის დამდგენი დეპარტამენტი ჩაატარებს IFC/MIGA-ის მუშაობის სიღრმისეულ აუდიტს.

[4]CAO-ის როლისა და მუშაობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საოპერაციო ინსტრუქციები: http://www.cao-ombudsman.org/documents/CAOOperationalGuidelines_2013.pdf

[5]იმ შემთხვევებში თუ მხარეები თანამშრომლობის გზით ვერ ახერხებენ პრობლემის მოგვარებას დათქმულ ვადებში, CAO-ის დავების მოგვარების დეპარტამენტი დაეხმარება დაინტერესებულ მხარეებს სირთულეების დაძლევაში. თუ ეს შეუძლებელია, დავების მოგვარების გუნდი აცნობებს მხარეებს, სსკ/მსსს-ის თანამშრომლებს, მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტს და სამეთვალყურეო საბჭოს, საზოგადოებას იმის შესახებ, რომ დავების გადაჭრის ჯგუფმა დახურა საჩივარი და ის გადასცა შესაფასებლად CAO-ის სტანდარტებთან შესაბამისობის დამდგენ დეპარტამენტს.

ნებისმიერი აღმოჩენილი შეუსაბამობის შესახებ ანგარიში და ინფორმაცია გამოქვეყნდება საჯაროდ, IFC/MIGA-ის პასუხთან ერთად.

ნაბიჯი 5: **მონიტორინგი და შესრულების კონტროლი**

ნაბიჯი 6: **დასკვნა/საქმის დახურვა**